

შპს ბიელსი 404507182

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

..... 2

საქმიანობის შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

1. კორპორატიული ინფორმაცია

..... 4

2. მომზადების საფუძველი

..... 4

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

..... 4

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

..... 8

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

აქტივები

31/12/2021

31/12/2020

31/12/2019

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

455634

421521

321250

შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები

0

0

0

მოთხოვნები ბანკების მიმართ

0

0

0

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

0

0

0

წარმოებული ფინანსური აქტივები

0

0

0

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან			
ზარალში ასახვით	0	0	0
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
გაცემული სესხები	0	0	0
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	0	0	0
მოკლევადიანი მარაგები	0	0	0
გრძელვადიანი მარაგები	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	621345	722536	733300
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები სხვა სრულ			
შემოსავალში ასახვით	0	0	0
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	0	0	0
საიჯარო მოთხოვნები	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	0	0	0
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივები	0	0	0
სხვა საგადასახადო აქტივი	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	4,057,383	3,427,280	3,485,836
გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	0	0	0
სულ აქტივები	5,134,362	4,571,337	4,540,386
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან			
ზარალში ასახვით	0	0	0
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
საიჯარო ვალდებულება	0	0	0

სავაჭრო ვალდებულებები	1,268,590	1,099,878	1,088,511
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,785,927	3,386,174	3,380,544
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0	0
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სუბორდინირებული სესხი	0	0	0
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	5,054,517	4,486,052	4,469,055

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი	0	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	79,845	85,285	71,331
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	79,845	85,285	71,331
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,134,362	4,571,337	4,540,386
სულ მოკლევადიანი აქტივები	456,678	785,865	733,300
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/2021 31/12/2020

ამონაგები	2,811,678	2,902,354
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	0	0
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0	0
საერთო მოგება	2,811,678	2,902,354
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-2,034,567	-2,133,998
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	0	0
საკონსულტაციო ხარჯი	0	0
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი	0	0
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი	0	0
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-315,234	-285,142
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	0	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-81,234	-85,112
იჯარის ხარჯი	-52,345	-49,256
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-299,768	-345,897
საოპერაციო მოგება	28,530	2,949

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
გაცემულ სესხებზე	0	0
სავაჭრო მოთხოვნებზე	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა ფინანსურ აქტივებზე	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული		
ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან, მოგება (ზარალში) ასახვით	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან		
გადაფასებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი		
ქაღალდების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და		
გადაფასებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი		
საწარმოების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა	0	0
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან	0	0
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან	0	0
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება სხვა აქტივებზე	0	0
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო		
სახსრების გადაფასებიდან	0	0
სხვა ფინანსური შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
სხვა ფინანსური ხარჯი	0	0

მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	28,530	2,949
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	28,530	2,949
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	28,530	2,949

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

პირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლები		
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან	0	0
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების		
რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში	0	0
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი	0	0

ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:

უცხოურ ქვედანაყოფებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები	0	0
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში	0	0
სავალო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება		
(სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლებით)	0	0

მი არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწ		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების		
რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების		
გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება		
(სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	28,530	2,949

საბაზისო მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე:

განგრძობითი ოპერაციებიდან	0	0
---------------------------	---	---

შეწყვეტილი ოპერაციებიდან

0

0

გაზავებული მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე:

განგრძობითი ოპერაციებიდან

0

0

შეწყვეტილი ოპერაციებიდან

0

0



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2021

31/12/2020

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში

გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

34,113

100,271

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში

გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული)

წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

34,113

100,271

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

0

0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

421,521

321,250

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

455,634

421,521



1. კორპორატიული ინფორმაცია

„ბიელსი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იგი დაარსდა 2016 წლის 25 იანვარს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი

ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404507182

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იურიდიული მომსახურების გაწევა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული

მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით

აღმაშენებელის გამზირი, N 129ა, მაღაზია N4, +3 სართული

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე,

როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები არიან:

- გიორგი ბათლიძე 33.33 %
- ქეთევან ქვარცხავა 33.33%
- ალექსანდრე ბოლქვაძე 33.34 %



2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია კომპანიებისთვის

განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან

(შემდგომში ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის,

ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის

დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი



	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.504
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.



• ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი
შენობები
კომპიუტერული ტექნიკა
ავტო

არამატერიალური აქტივები.

• აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.



სასარგებლო
მომსახურების ვადა
15-20
3-10
5-10



არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი

ბუღალტრული პროგრამა

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.



სასარგებლო
მომსახურების ვადა

10 წელი



გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.



საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში. განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით. კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგები



შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

მომსახურება

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოღინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში

ხარჯების აღიარება. მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

მიღებული ავანსები



მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტებისგან, გაწეული მომსახურებისათვის წინასწარ მიღებულ თანხებს და აღირიცხება თვითღირებულებით. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირდება. იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავლისა.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური

მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს

მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.



ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

